




R 9.099
3.09

ප්‍රකාශන පාඨමාලා



პროგრამა

ხაქართველოს ხოც.-ფედერალისტთა
სარევოლუციო პარტიისა.

სოც.-ფედერალისტები სოციალის-
ტები ვართ, და ეს იმას ნიშნავს, რომ
უმაღლესი იდეალი, რომლის განხორ-
ცულებასაც გვინდა მოვაწმაროთ ჩვე-
ნი ძალა და ლონე, არის სოციალიზ-
მი. სოციალიზმი იგულისხმებს ადამია-
ნის განთავისუფლებას ყოველგვარ და-
ჩაგვრისა და დამონაცემისაგან, ხოლო
უმთავრესად კი ეკონომიკურ ესპლოა-
ტაციისაგან, რომელიც თანამედროვე
ბურჟუაზიულ და რაოდენადმე ჯერ
კიდევ ფეოდალურ საზოგმდოების
ქვაკუთხედს შეადგენს. სოციალიზმი
არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია,
შრომისა და მეურნეობისა; ამ საზოგა-
დოებრივ ორგანიზაციის ხელში იქნე-
ბა მოქცეული ყველა საჭარბოვან ია-
რალი და იმისი წევრები შეადგენენ
ეკონომიკურათ თანასწორ ადამიანებს;
ყოველს ადამიანს სხვებთან ერთად და
სხვებთან თანასწორი უფლება ექნება
მოითხოვოს საზოგადოებისაგან თავის
არსებობის უზრუნველყოფა, რამდენა-
თაც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია

ეკონომიკურ პირობებისაგან, და სამა-
 გიეროდ ყოველი ადამიანი ვალდებუ-
 ლი იქნება სხვებთან ერთად და სხვე-
 ბთან თანასწორი მონაცილეობა მი-
 იღოს საზოგადოებრივ მეურნეობისა-
 თვის საჭირო შრომაში. საზოგადოე-
 ბის და იმის წევრთა შორის არსებუ-
 ლი უფლებრივი დამოკიდებულება გან-
 საზღვრული იქნება საზოგადოების სა-
 ჭიროებით, მაგრამ ისე კი, რომ ადა-
 ბიანთა თანასწორობის პრინციპი არ
 იქნას დარღვეული და ადამიანის თავი-
 სუფლება არ იქნას შევიწროვებული.

I. ძირისადი პრიციპები

1. სოციალისტ-ფედერალისტთა პარ-
 ტიის მიზანია განთვისუფლება
 მშრომელ ხალხისა ეკონომიკური, პო-
 ლიტიკურ და ეროვნულ დამონაცემი-
 საგან.

2. მშრომელ ხალხი მაშინ მოიპო-
 ვებს სრულს თავისუფლებას, როცა
 დაანგრიებს ახლანდელს ბურჟუაზიულს
 და ზოგან ჯერ კიდევ ფეოდალურს
 წესწყობილებას და დამყარებს სო-
 ციალიზმს.

3. სოციალიზმი მოიხვევს ქრის-
 ტიანურების გაუქმებას და ყოველგვარ
 სიმდიდრის, განსაკუთრებით კი სა-
 წარმოყო იარაღების (ქარხნების, ფა-
 ბრიკების, მიწის და სხვების) განსაზო-
 გადოებრივებას, სოციალიზმი არის სა-

ზოგადოებრივი ორგანიზაცია შრომისა
და მეურნეობისა.

4. სოციალიზმი მოსპობს კლასთა
ბრძოლას და საზოგადოებრივ ორგანი-
ზაციებს დაუკარგავს კლასობრივს ხა-
სიათს.

5. სოციალიზმი საჭიროა განსაკუთ-
რებით მშრომელ ხალხისთვის, რომე-
ლიც ქრისტიანული დამყარე-
ბრებულ წესწყობილების მეოხედით აუ-
ცილებლათ იჩიგრება გაბატონებულ
კლასებისაგან; მაგრამ სოციალიზმი
საჭიროა მთელ საზოგადოებისათვისაც.
სოციალიზმი წარმოშობით კლასიურია,
იდეალი კი, რომელსაც ანხორციე-
ლებს, არაკლესიური.

6. სოციალისტურ წესწყობილების
განსახორციელებლად საჭიროა მშრო-
მელმა ხალხმა ჩამოაზრდას გაბატონე-
ბულ კლასებს წარმოების იარაღები,
და აქციოს ეს იარაღები მთელის ხა-
ლხის საერთო კუთხით ილებად. საჭარ-
მოეთ იარაღების ჩამორთმევა უნდა
მოხდეს რეოლიუციონურის გზით, ე. ი.
ძალით რადგან მათი პატრიონები თა-
ვიანთ ნებით არასოდეს ხელს არ აი-
ღებენ კლასიურ ბატონობაზე.

7. სოციალიზმის განსახორციელებ-
ლად საჭიროა მშრომელ ხალხის ყვე-
ლა წრეების სოლიდარობა შრომისა და
თანასწორობის ნიადაგზე და იმის თა-

განიზაცია ერთის მხრიց პოლიტიკურ
 პარტიად, ხოლო მეორეს მხრიც პრო-
 ფესიონალურ კავშირებად საწარმოვო
 და მომხმარებელი ორგანიზაციები გა-
 ნამზადებენ პირობებს ახალ სციალის-
 ტურ ცხოვრებისათვის. ამ კავშირებ-
 ში ჩასახულია მომავალი სოციალური
 წრები. სოციალური წრე იქნება ტე-
 რიტოლიარული და არატერიტორია-
 ლური. თითოეული სოციალური წრე
 მოქმედებს ავტონომიურად, დაუკავ-
 შირდება ფედერატიულად სხვა სო-
 ციალურ წრეებს (კომუნებს ან კავში-
 რებს) საერთო საჭიროებათა დასაქმა-
 ყოფილებლათ; ფფართოესი და ამი-
 ტომ უდიდესი ფედერაცია ან, უკედ
 რომ ესთქვათ, კონფედერაცია არაუ-
 ლებს შრომის უმაღლეს რეგულატო-
 რის ფუნქციას, თითოეული სოცია-
 ლური წრე ამავე წესით იმოქმედებს
 თავის წრის ფარგალში საერთო კულ-
 ტურულ საქმეთა გასძღვოლათაც.

8. სოციალური რევოლუცია ყველ-
 გან და წარმოების ყოველ დაზღვი
 შესაძლებელია ერთიანობულათ ან შო-
 ხდეს, პირიქით, უფრო მოსალოდნელია
 სოციალურ რევოლუციის ხანგრძლი-
 ვობა და სოციალიზმის ნაწილობითი
 განხორციელება. ასეთი კერძოობითი
 სოციალიზაცია საგენერით ეკრ დამ-
 ხობს ეხლანდელ მურჯვაზიულს წე-



სებს, მაგრამ თვალსაჩინოდ მაინც
შეარყენეს იმის სიმაგრეს და გააღდე-
ლებს სოციალიზმის საბოლოო გამარ-
ჯებას.

9. სოციალისტ-ფედერალისტთა 35-,
რტია, ვიდრე ბურჟუაზიული წესწყო-
ბილება აჩვებობს, მშრომელი ხალხის
კლასიურ ნიადაგზე დგას.

10. სოციალისტურ მძღვანების გა-
საფინანსებლად საჭიროა ძარისადი
რეფორმა ახლანდელ რუსეთის პოლი-
ტიკურ მმართველობისა და დამყარება
სახელმწიფოებრივ წე'ებისა იემოქ-
რატიზმის და ფედერალიზმის პრინ-
ციპიზმი.

11. დღევანდველი ეროვნული ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული განხეთქილება ერთა შრის აფერხებს მშრომელი ხალხის განცითარებას და აიძულებს მას მიიღოს მონაწილეობა ისეთ ბრძოლაში, რომელიც უბნელებს მას კლასიურ თვითშეგნებას. დამოუკიდებლობა შინაურ ხაჭეებში, ე. ი. აფტონომია, და ხაერთო ხაჭეებში შეთანხმება, ე. ი. ფედერაცია, აუკილებელი საჭიროებაა თავისუფალ განვითარებისათვის და სოლიდალურ მოქმედებისათვის. ასეთი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა თანამედროვე პირობებში შექმნის ნიადაგს წმინდა კლასობრივ ბრძოლისათვის და სოციალიზმის განხორციელებისათვის.

II. პროგრამა—შინილი, როგორიც
 უნდა ჩაწეროს ციფრულდეს ცეციალიზ-
 მის დამზადებამდე. ა) პოლიტი-
 კური.

12. სრული თავისუფლება სიტყვი-
 სა, წერისა, სინიდისისა, კრებისა, კა-
 ვშირებისა, მიმოსკლისა (პასპორტების
 გაუქმება) და გაფიცვისა; ხელშეუხე-
 ბლობა პიროვნებისა და ბინისა, მოს-
 პობა წოდებისა; სრული თანასწორო-
 ბა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფ-
 ლებებისა ყველასათვის, განურჩევი-
 ლად სქესისა, სარწმუნოებისა და
 ეროვნებისა.

13. შემოლება დემოკრატიულ წარ-
 მომადგენლობით მართველობისა, რო-
 მელიც დამყარებული უნდა იყოს სა-
 ყოველთაო, პირდაპირი, თანასწორ და
 ფარულ საარჩევნო უფლებაზე, პრო-
 პორციონალური წარმომადგენლობა
 პარლამენტარიზმისა (პასუხისმგებელი
 სამინისტრო, შემდგარი პარლამენტის
 უძრაველესობის წარმომადგენელთაგან).
 დამყარება რესპუბლიკისა. პირდაპირი
 სახალხო კანონმდებლობა (რეფერენ-
 დუმი) და ხალხის საკანონმდებლო ინი-
 ციატიკა.

14. ფართო საკანონმდებლო და სა-
 ადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია;
 სახელმწიფოს ფედერატიულად მოწ-
 ყობა.

ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებითი ან სამუდაშო კავშირები საერთო საქმეების გასაძლოლად.

სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე ს.-ფედერალისტა პარტია მოითხოვს დღესვე საქართველო-სათვის ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას.

15. დემოკრატიზაცია ადგილობრივ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებისა; ფართო ადგილობრივი, საერთო და სამუნიციპო (სოფლებისა და ქალაქების) ოფიციალურობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევნები, ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ შემოლება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენისა. ნაციონალურ უმცირესობის საჭიროებისთვის გადადება საერთო შემოსავალიდან, მცხოვრებთა რაოდენობის პროპორციით, განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში. ეროვნულ უმცირესობას შეუძლიან შეადგინოს არატერიტორიალურ კავშირები. უნდა ექვემდებარებოდეს ადგილობრივი საქმე, გარდა იმ საქმეებისა, რომელსაც მოელ სახელმწიფოსთვის საერთო მნიშვნელობა აქვს.

თე
ო
რ
ე
ს

16. გასამართლება ყველა მოხელი-
 სა უკანონო მოქმედებისათვის იმავე
 წესით, რომელიც დაწესებული იქნება
 დანარჩენ მოქალაქეთათვის უფლება
 მოხელის სამართალში მიცემისა ყველა
 მოქალაქისათვის, გადაყენება მოხე-
 ლებისა სასამართლოს დადგენილე-
 ბით.

17. უფასო, საყოველთაოდ საფალ-
 დებულო საერო განათლება ჰყველისა-
 თვის; საფალდებულო საყოველთაო
 პორტფესიონალური განათლება ყველა
 მოზარდისათვის. (ყველიმ აუცილებლად
 ბავშობაშიც უნდა შეისწავლოს ერთი
 რომელიმე ხელობა მაინც) სკოლების
 საქმის აღვილობრივი თვითმართველო-
 ბის მერ წარმოება.

18. განცალკევება ექლესიისა სა-
 ხელმწიფოსაგან.

19. გაუქმიდა მუდმივის ჯარებისა და
 დაწესება სახალხო ანუ საერო ლაშქ-
 რისა (მილიცია).

ბ) მართვისა:

20. ძირითადი რეორგანიზაცია ფი-
 ნანსების საქმისა:

ა) მოსპობა არაპირდაპირის გადა-
 სახადებისა, განსაკუთრებით იმ გადა-
 სახადებისა, რომელიც ბოლოს და ბო-
 ლოს მშრომელ ხალხს აწვება კისერ-
 ზე, მოსპობა მფარველობითი ბაჟებისა.

ბ) შემოლება პროგრესიულ პროპ-

რციონალურ გადასახადებისა შემოსა-
 ვალზე; გაძლიერება გადასახადებისა
 მემკვიდრეობაზე და უსასყიდლო სა-
 ჩუქრებზე, გარდა იმ შეჭირულებათა,
 რომელიც საზოგადო კულტურულ სა-
 ქმედს უნდა მოხმარდეს.

გ) გაუქმება მემკვიდრეობისა არა-
 პირდაპირ შთამომავლობის შტოზე
 და ანდერძით, შეზღუდვა კანონით,
 რაოდენობის შერიც, მემკვიდრეობისა
 პირდაპირ შთამომავლობის შტოზე-
 დაც, გადაცემა სახელმწიფოს ან ტე-
 რიტორიიალურ ერთეულების ხელში იმ
 ქონებისა, რომელიც ამ მუხლის თანა-
 ხმად მემკვიდრეობით კერძო პირების
 ხელში ვეღარ გადავა.

21. გაფართოება ტერიტორიიალურ
 ერთეულების საზოგადო საკუთრებისა.

22. დაწესება ყველა მშრომელის
 დაწლევისა უსაქმოდ დარჩენისაგან,
 შრომის უნარის დაკარგვისაგან (იგათ-
 იყოფობა, უცაბედი უბედურება და
 სიბერე) და სიკეთილისაგან (ობლების
 და ქვრივად დარჩენილ ცოლის სასარ-
 გებლო).

23. გაუმჯობესება მუშათა მდგომა-
 რეობისა და განვითარება მუშათა კა-
 ნონმდებლობისა.

ა) ორგანიზაცია შრომის ოა მოხმა-
 რების სტატისტიკისა საზოგათო ხ. რ-
 ხ.თ.

ბ) ქონებრივი დახმარების აღმოჩენა
 სახელმწიფოსგან პროფესიონალურ და
 ქონაპერატიულ ამხანაგობათათვის.
 განსაკუთრებით პირების და დაარსების
 დროს და ეკონომიკურ კრიზისების ხა-
 ნაში.

გ) დაწესება მაქსიმუმად დღეში რვა
 საათის მუშაობისა; დაწესება უფრო
 ნაკლების მუშაობისა წარმოების ისეთს
 დარგებში, საღაც მეცნიერებულ ჰიგიე-
 ნის თანახმად რვა საათის მუშაობაც
 საზიანოა ჯანსაღობისათვის. აკრძალვა
 ბავშვების მუშაობისა 16 წლამდე და
 დაწესება მსუბუქ მუშაობისა მცირე-
 წლოვანთათვის 16-დან 20 წლამდე.
 სრულიად აკრძალვა მცირე წლოვანე-
 ბის და ქალების მუშაობისა წარმოე-
 ბის წოდიერთ დარგებში. განთავისუფ-
 ლება ქალებისა მშობიარობის წინ სა-
 მის კვირით და მშობიარობის შემდეგ
 ექვსი კვირით, ჯამაგირის შენახვით.
 ძუძუ მწოვარ ბავშვების ზრდის დროს
 ქალები განსაზღვრულ დროით განთა-
 ვისუფლებულ უნდა იქმნან ყოველ დღე
 ბავშვების მოსავლელად და უბრივა
 ქარხნებთან ბავშვების თავშესაფარი
 უნდა იყოს მოწყობილი. გაუმჯობესე-
 ბა შრომის ჰიგიენურ და სანიტარულ
 პირობებისა, მეთვალყურობა შრომის
 მფარველ-კანონების ასრულებისა თვით
 მუშებისაგან არჩეულ შრომის ინსპექ-



ტორების მიერ. გავრცელება შრომის მფარველ კანონებისა მეურნეობის ყოველ დარგზე, სხვათა შორის, სასოფლო მეურნეობაზე და წვრილ სახელმოსნოებზე. გადაცემა მშრომელ ხალხის პროფესიონალურ კავშირების ხელში ში შინაურ სააღმისტრაციო საქმეებისა ქარხნებში, ფაზრიკებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც კი მომუშავენი ერთს პროფესიონალურს ორგანიზაციას შეადგენენ,

დ) სამუშაო ფასის მინიჭების განსაზღვრა ყოველ წლობით მუშათა სასტატისტიკურ კომისიის მიერ, რომელიც იხელმძღვანელებს სანოვაგებებს არსებულ ფასებით.

ე) ყოველ მუშას წლის განმარტობაზი განუწყვეტილ დასვენებისათვის ერთი თვის თავისუფლება უნდა მიენიჭოს, ხოლო კვირაში კი 42 საათისა (ჯამაგირის შენახვით).

ვ) გაფიცვების დროს მუშებს ჯამაგირი ინორ ეძლიოს.

ზ) საწარმოვო დაწესებულებების პარონებმა მუშებს წინდაწინ უნდა შეატყობინონ, თუ უნდათ მათი დათხოვნა ან დაწესებულების დაკიტვა; ამ შემთხვევაში მუშებს ექვსი თვის ჯამაგირი უნდა მიეჭის.

თ) დაარსება შრომის ბიუროებისა.

ი) იანასწორი შრომის ფასი თანასწორ მუშაობაზი სქესის განურჩევლად-

სოც-ფედ. პარტია თავის აგრძარულ
პროგრამას საფუძვლად უდებს პრინ-
ციპს მიწის კერძო საკუთრების გაუქ-
მებისას, რათა იგი ხალხის საერთო
სიმღიდოედ იქცეს:

ა) სახელმწიფოს, უკლესის, მონას-
ტრებს, კაბინეტს, უფლის წულებს და
მსხვილ მემამულების მიწა რევოლუ-
ციონურის გზით გამოუსყიდველად
უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წვრილ
და მსხვილ ტერიტორიალურ ერთეუ-
ლებს.

ბ) სოც-ფედ. ყოვლის უწინარეს
იმის ცდაში იქნებიან, რომ ამ მიწების
დამუშავება კოოლექტიურის შრომით
სწარმოებდეს და რომ ნაყოფი ამ საე-
რთო შრომისა მიხედვით ჯანაწილდეს.

გ) სადაც კოლექტიურ შრომის
განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუ-
ძლებელი აღმოჩნდება, იქ პარტია
მხარს დაუჭერს ჩამორთმეულ მიწების
ნაჭერ-ნაჭერი გადაცემას დასამუშავებ-
ლათ, იმ პირობით კი, რომ არავის
იმაზედ მეტი მიწა არ მიეზომოს, რის
დამუშავებასაც თავის საკუთარის ძალ-
ლონით ვერ გაუძლება.

დ) იმ წვრილ მესაკუთრების, რო-
მელნიც თითონ ან თავის ოჯახის შემ-
წეობით ამუშავებენ თავის მიწას, მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევათ
მიწა საერთო მფლობელობაში გა-

დასაცემათ, თუ ეს მესაკუთრენი თან-
 ხმობას განაცხალებენ ამაზე. ყოველ
 შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აკრძალუ-
 ლია.

წვრილ მესაკუთრეებს ჩამოერთმე-
 ვათ მიწა ძალით იმ შემთხვევაში, თუ
 ისინი თავის მიწებს თავისივე ხელით
 არ ამუშავებენ.

საშუალო როდენობის-მამულის პა-
 ტრონებსაც უნდა ჩამოერთოთ მიწა—
 გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ისინი
 თავის საკუთარის შრომით ამუშავე-
 ბენ.

შემოღებულ უნდა იქნას გამათანას-
 წორებელი გადანახადი რენტაზე,

როგორც პოლიტიკური, ისე ეკო-
 ნომიური ნაწილი ჩვენი პროგრამა—
 მინიმუმისა, მხოლოდ მაშინ დაადგება
 განხორციელების გზაზე, როდესაც
 სარეკოლუციო მოძრაობა საბოლოოთ
 გაიმარჯვებს ძველს რეჟიმზე და რო-
 დესაც რევოლუციონურათ მოწვეული
 დამფუძნებელი კრება სრულიად დაშ-
 ლის თვითმყრობელობის და ცენტ-
 რალიზმის ორგანაზაციებს. ამიტომ
 ჩვენი პირველი დევინია: რეგოლუ-
 ციონური შრომობა სრულიად რუსე-
 თის დამფუძნებელ კრების და ადგი-
 ლობრივ დაფუძნებელ კრებათა მო-
 ხაწევად.

ასტრეტესაცემა
 N 27

